„მაჭახელას პროდუქტი“-ს სავაჭრო ნიშნის რეგლამენტი

შესავალი — თქვენი გზამკვლევი მაჭახელას ხეობაში

„მაჭახელას პროდუქტი“ ბრენდი მხოლოდ ხარისხის ნიშანი არ არის — ეს არის მაჭახელას ხეობის, მისი მცხოვრებლებისა და მათი უნარის პოპულარიზაციის საშუალება, აწარმოონ ავთენტური პროდუქტები და მომსახურებები.

როდესაც ხელში გიჭირავთ მაჭახელას თაფლის ქილა, იცით, რომ ის დამზადებულია ნექტარისგან, რომელიც მცენარის აყვავების მოკლე პერიოდშია შეგროვებული, იმ ადგილას, სადაც განსაკუთრებული ბუნება დაცულია ეროვნული პარკისა და დაცული ლანდშაფტის მიერ. თითოეული პროდუქტი და მომსახურება, რომელსაც ეს ლოგო აქვს, გამოხატავს ტრადიციაზე, გარემოზე და სოციალურ პასუხისმგებლობაზე ზრუნვას.

ბრენდი შეიქმნა ხეობის მცხოვრებთა, არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის, შავი ზღვის ეკო-აკადემიისა და პოლონეთის „ეკოგანვითარების ფონდი”-ს) ინიციატივით, დაცული ტერიტორიებისა და ექსპერტების მხარდაჭერით, რათა შეენარჩუნებინათ ხეობის უნიკალური რესურსები და დახმარებოდნენ ადგილობრივ მწარმოებლებს, თავიანთი ნაწარმის პოპულარიზაციაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბრენდის/ნიშნის გამოყენება მიუთითებს, რომ პროდუქტი ან მომსახურება აკმაყოფილებს მაღალ ხარისხობრივ, ავთენტურობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის სტანდარტებს.

პოლონეთის დახმარება
Fundacja EkoRozwoju
Black Sea Eco-Academy
დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

§1 განმარტება

ბრენდის სისტემა - ბრენდის სისტემა არის წესების, პროცედურებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს „მაჭახელას პროდუქტი“-ს სავაჭრო ნიშნის მინიჭებას, გამოყენებასა და პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს მაჭახელას ხეობაში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებების ხარისხის, ავთენტურობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვას.

სავაჭრო ნიშანი „მაჭახელას პროდუქტი“ – გრაფიკული ლოგო და სახელწოდება, რომელიც გამოიყენება იმ პროდუქტების, მომსახურებებისა და ღონისძიებების აღსანიშნავად, რომლებმაც მოიპოვეს ამ სიმბოლოს გამოყენების უფლება.

ბრენდის ინიციატორი და მფლობელი – ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია” (Black Sea Eco Academy), რომელმაც წამოიწყო ბრენდის შექმნა და უშუალოდ აკონტროლებს მის ფუნქციონირებას.

ბრენდის სისტემის ოპერატორი – ორგანიზაცია, რომლის ამოცანაა ბრენდის სისტემის ყოველდღიური მართვა.

განმახორციელებელი პარტნიორი – ორგანიზაცია ან ინსტიტუცია, რომელიც ინიციატორის მიერ არის შერჩეული ბრენდის მიმდინარე მართვის მხარდასაჭერად.

ბრენდის სისტემის კომისია – ინიციატორის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შეიძლება შედგება ადგილობრივი მწარმოებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების და ექსპერტების წარმომადგენლებისაგან. მისი ამოცანაა, შეაფასოს და გასცეს რეკომენდაციები სავაჭრო ნიშნის მინიჭების შესახებ მიღებულ განაცხადებზე.

ბრენდის სისტემის მომხმარებელი – სუბიექტი, რომელმაც მოიპოვა უფლება გამოიყენოს სავაჭრო ნიშანი, ნიშნის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ბრენდის სისტემის პარტნიორი – სუბიექტი, რომელიც ხელს უწყობს ბრენდის პოპულარიზაციას, თუმცა არ აქვს სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება.

ხეობა – სოფლები, რომლებიც მდებარეობს მაჭახელას ხეობის / მაჭახელას დაცული ლანდშაფტის ფარგლებში (სოფლები - ქედქედი, სინდიეთი, აჭარის აღმართი, ცხემლარა, სკურდიდი, ზედა ქოქოლეთი, ქვედა ქოქოლეთი, ჩიქუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი).

ნიშნის ხელშეკრულება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ბრენდის სისტემის მომხმარებელის უფლებებსა და ვალდებულებებს.

გამოცემა – სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლების ერთწლიანი მოქმედების პერიოდი.

ბრენდის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია განთავსებულია ვებსაიტებზე: www.mpl.ge, www.bsea.ge

საკონტაქტო პირი: +995 593 40 43 93, kartsivadze2022@yahoo.com, მანანა ქარცივაძე

§2 სავაჭრო ნიშნის მიზანი

1. ნიშნისა და სისტემის ინიციატორი და მფლობელია ორგანიზაცია ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია" (Black Sea Eco Academy)
2. ნიშნის ფუნქციონირების საწყის ეტაპზე,ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია" (Black Sea Eco Academy) ასრულებს ნიშნის ოპერატორის ფუნქციას. აღნიშნული ფუნქცია, შესაძლებელია, ცალკე შეთანხმების საფუძველზე გადაეცეს სხვა შერჩეულ ადგილობრივ ორგანიზაციას ან ინსტიტუციას.
3. „მაჭახელას პროდუქტი" ბრენდის მიზანია მაჭახელას ხეობაში შექმნილი ავთენტური პროდუქტებისა და მომსახურებების პოპულარიზაცია, ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა და ხეობის ცნობადობის გაზრდა, როგორც ეკოტურისტული და საგანმანათლებლო დანიშნულების ადგილის.
   სავაჭრო ნიშნის მიზანს ასევე წარმოადგენს ადგილობრივი მწარმოებლების გაერთიანება, მომხმარებელთა განათლება ხეობის კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების შესახებ და ბრენდის რეპუტაციის დაცვა ხარისხის სისტემატური მონიტორინგის მეშვეობით.
4. ხეობის რესურსებზე დაფუძნებული უნიკალური, მაღალი ხარისხის მქონე პროდუქტების, მომსახურებებისა და ღონისძიებების სერტიფიცირებასა და მარკირებას, რომლებიც თანხვედრაშია რეგიონის სპეციფიკასთან და მდგრადი განვითარების პრინციპებთან, მიზნად აქვს:
   a) გარემოსთან მეგობრული ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის მხარდაჭერა;
   b) ხეობის რესურსებზე დაფუძნებული ან ხეობის ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზაციის მხარდაჭერა;
   c) ხეობის ტურისტული შეთავაზებების პოპულარიზაცია;
   d) სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მეწარმეობისა და ბიზნესის პოპულარიზაცია და განვითარება;
   e) აქტიური დამოკიდებულებების მხარდაჭერა ხეობის სპეციფიკასა და რესურსებზე დაფუძნებული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნისა და განვითარების კუთხით;
   f) ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებისათვის თანამშრომლობის ინიცირება და სტიმულირება;
   g) მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება რესურსების პასუხისმგებლიან გამოყენებაზე, ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურებების წარმოებასა და მდგრად ტურიზმზე.

§3 კატეგორიები, კრიტერიუმები და ღირებულებების აღწერა

„მაჭახელას პროდუქტი" სავაჭრო ნიშანი გაიცემა სამ კატეგორიაში, რომელთაგან თითოეული ხაზს უსვამს ხეობის უნიკალურ მემკვიდრეობას:

პროდუქტები

ეს მოიცავს ადგილობრივ საკვებ პროდუქტებს (მაგ.: თაფლი, გამოხდილი ალკოჰოლური სასმელები, ბეთმეზი, ჩურჩხელა) და ხელნაკეთ ნივთებს (მაგ.: ხის ნაკეთობები, კალათები, ქსოვილები). ნიშნის მისაღებად პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

- ინგრედიენტების ძირითადი ნაწილი მოპოვებული უნდა იყოს მაჭახელას ხეობაში;
- აკმაყოფილებდეს თავისი კატეგორიის ხარისხისა და ავთენტურობის სტანდარტებს (მაგალითად, თაფლი შეგროვებული უნდა იყოს მხოლოდ წაბლის აყვავების პერიოდში 25 მაისიდან 30 ივნისამდე, ალკოჰოლური სასმელები მაგ. ხილის არაყი უნდა შეიცავდეს

არანაკლებ 50% და არაუმეტეს 70% ალკოჰოლს, ღვინოში არ უნდა იყოს შერეული წყალი და შაქარი და ადგილობრივი ჯიშის ყურძნისგან უნდა იყოს დამზადებული, ასევე შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ჯიშის გემოვნური თვისებები, ხელნაკეთობების წარმოება კი უნდა განხორციელდეს ტრადიციული ტექნიკებით).

- შეფუთული იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალებით, ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ეტიკეტით, რომელზეც მითითებულია პროდუქტის მოკლე ისტორია.

მომსახურებები/სერვისები

ეს მოიცავს ტურიზმთან დაკავშირებულ მომსახურებებს, მათ შორის აგროტურიზმს, საოჯახო სასტუმროებს, საგანმანათლებლო ტურებსა და სხვადასხვა სახის ვორქშოპებს/მასტერკლასებს (მაგ. ხელნაკეთ ნივთებზე, საგანმანათლებლო, ეთნოგრაფიულ, კულტურულ, გასტრონომიულ თემატიკაზე). მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მოიცავდეს საგანმანათლებლო კომპონენტს, რომელიც ასახავს მაჭახელას ხეობის კულტურულ და ბუნებრივ თავისებურებებს (მაგ.: გიდიანი ტურები, პრაქტიკული ვორქშოპები/მასტერკლასები);

- აკმაყოფილებდეს კომფორტისა და ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს (მაგ. სუფთა ტუალეტები, ინტერნეტი, ორენოვანი ინფორმაცია, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო);

- ფუნქციონირებდეს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით (მაგ. პლასტიკის მინიმალური გამოყენება, ნარჩენების სეპარაცია/დახარისხება).

ღონისძიებები

ეს მოიცავს ადგილობრივ ფესტივალებს, ბაზრობებს, ხელნაკეთი ნივთების გამოფენებს, საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ფოლკლორულ წარმოდგენებს. ღონისძიებამ უნდა:

- პოპულარიზება გაუწიოს მაჭახელას ხეობის მემკვიდრეობას საგანმანათლებლო ან კულტურული პროგრამებით;

- უზრუნველყოს მონაწილეებისთვის მაღალი ორგანიზაციული სტანდარტები და ხელმისაწვდომობა;

- პროგრამის შედგენისას თანამშრომლობდეს ადგილობრივ მწარმოებლებთან და მომსახურების მიმწოდებლებთან.

შეფასების კრიტერიუმები

ყველა განაცხადი ფასდება ექვსი კრიტერიუმით (თითოეული 0-5 ქულით). აუცილებელია თითოეულ კრიტერიუმში მინიმუმ 1 ქულის მიღება:

- **ხეობასთან კავშირი**
  აღწერა: ადგილობრივი წარმოშობისა და წარმოების ხარისხი
  დასაბუთების მაგალითებით: მინდვრების/საფუტკრეების ფოტოები, თანამოქალაქეების მიერ დამოწმებული თვითდეკლარაცია

დაცული ტერიტორიები, როგორც შესაძლებლობა ადგილობრივი მეწარმეობისთვის . თემების მხარდაჭერით გზით ადგილობრივი მეწარმეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

- **ხარისხი და ავთენტურობა**
  აღწერა: ტრადიციულ და ინდუსტრიულ სტანდარტებთან შესაბამისობა
  დასაბუთების მაგალითებით: მომხმარებელთა შეფასებები (მაგ. Facebook-ზე, შთაბეჭდილებების (რეკომენდაციების) წიგნში)

- **ეკოლოგიურობა**
  აღწერა: მავნე ნივთიერებებისა და პრაქტიკის არქონა
  დასაბუთების მაგალითებით: „პლასტიკის გარეშე“ , ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკების აღწერა

- **საგანმანათლებლო ღირებულება**
  აღწერა: საგანმანათლებლო კომპონენტის არსებობა
  დასაბუთების მაგალითებით: ვორქშოპების/მასტერკლასების პროგრამა, გაკვეთილების გეგმები, საგანმანათლებლო მასალების არსებობა

- **ხელმისაწვდომობა**
  აღწერა: ინფორმაციის გამჭვირვალობა და ფიზიკური ხელმისაწვდომობა
  დასაბუთების მაგალითებით: ორენოვანი ეტიკეტები, ვებსაიტის აღწერები, აღწერა, თუ როგორ ხდება პროდუქტის/მომსახურების/ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მიღება და ფიზიკურად არსებობის დადასტურების უზრუნველყოფა

- **თანამშრომლობა**
  აღწერა: მონაწილეობა მაჭახელას ქსელში, თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან
  დასაბუთების მაგალითებით: შეხვედრების ოქმები, პარტნიორობის ხელშეკრულებები, პარტნიორების წერილობითი დადასტურება

§4 განაცხადის პროცედურა

ვის შეუძლია განაცხადის შეტანა?

1. ნიშნის გამოყენების უფლების მისაღებად განაცხადის შეტანა შეუძლიათ პირებს ან ორგანიზაციებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი მდებარეობს ხეობის ტერიტორიაზე. ისინი უნდა ეწეოდნენ კანონით დაშვებულ ლეგალურ საქმიანობას და ასრულებდნენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას, განსაკუთრებით გადასახადების, სურსათის უვნებლობის, საავტორო უფლებების, გარემოს დაცვისა და პროდუქტების/მომსახურებების ბაზარზე შეტანის საკითხებში.
2. ნიშნისთვის შესაძლებელია წარდგენილი იყოს მხოლოდ პროდუქტი, რომელიც იწარმოება ხეობაში, ან მომსახურება/ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ხეობაში.
3. პროდუქტის მწარმოებელი, მომსახურების მიმწოდებელი ან ღონისძიების ორგანიზატორი, რომელიც განაცხადს წარადგენს ნიშნის კომისიის წინაშე განსახილველად, ვალდებულია: ა. დაიცვას საკუთარი საქმიანობისათვის მოქმედი კანონმდებლობა; ბ. იმოქმედოს ეთიკური ბიზნესის პრინციპების შესაბამისად; გ. დააკმაყოფილოს ნიშნის მინიჭების კრიტერიუმები.

როგორ წარადგინოთ განაცხადი?

1. ნიშნის მიღების შესახებ განაცხადის წარდგენა შესაძლებელია იმ ვადებში, რომელთაც თითოეული გამოცემისთვის ოპერატორი აცხადებს.
2. განაცხადების მიღების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია ოპერატორისა და პარტნიორების ვებსაიტებზე და შეიცავს: ა. განაცხადის მიღების ადგილსა და ვადებს; ბ. განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების ფორმებს; გ. ნიშნის მინიჭების კრიტერიუმებს; დ. პროცედურის დეტალურ აღწერას; ე. საკონტაქტო ინფორმაციას ორგანიზატორთან.

როგორ ხდება ნიშნის მინიჭების პროცედურა?

1. ნიშნის მინიჭების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა. განაცხადის წარდგენა; ბ. ფორმალური შეფასება; გ. შინაარსობრივი შეფასება ნიშნის კომისიის მიერ; დ. გადაწყვეტილება ნიშნის მინიჭების ან უარის შესახებ; ე. ნიშნის მინიჭების ხელშეკრულების გაფორმება.

2. კომისიას შეუძლია გასცეს რეკომენდაცია ნიშნის მინიჭების შესახებ, დამატებითი პირობების ან ცვლილებების გათვალისწინებით.

3. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში განმცხადებელს მიეწოდება შესაბამისი დასაბუთება.

§5 ნიშნის გამოყენების უფლების მონიტორინგი და გაუქმება

1. ნიშანი გაიცემა განსაზღვრული ვადით, რომელიც დგინდება კონკრეტული განაცხადის გამოცემისა და სისტემის მიხედვით (მაგ. 1 წლით).
2. გამოცემის ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია ნიშნის გამოყენების უფლების ხელახლა მიღებაზე განაცხადის წარდგენა.

   ამ პერიოდში ოპერატორი ატარებს ყოველწლიურ შეფასებას კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ, მათ შორის დაუგეგმავ ვიზიტებს ნიშნის მომხმარებლებთან.

   რეგლამენტის სერიოზული დარღვევის, პროდუქტის/მომსახურების ხარისხის გაუარესების ან მომხმარებელთა ნეგატიური გამოხმაურების შემთხვევაში, ბრენდის კომისიას შეუძლია გააუქმოს ნიშნის გამოყენების უფლება.

§6 სავაჭრო ნიშნის მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები

უფლებები

მომხმარებლებს უფლება აქვთ:

a) გამოიყენონ ნიშანი ყველა სარეკლამო მასალაში, შეფუთვაზე და ინტერნეტში სისტემის მითითებების შესაბამისად;
b) განათავსონ ინფორმაცია საკუთარი ბიზნესის შესახებ ვებსაიტზე www.mpl.ge,, და/ან სავაჭრო ნიშნის მფლობელის მიერ მითითებულ ნებისმიერ ვებ-გვერდზე;
c) მონაწილეობა მიიღონ სარეკლამო, საგანმანათლებლო და ინტეგრაციულ ღონისძიებებში, რომლებიც იმართება ოპერატორისა და ნიშნის პარტნიორების მიერ;
d) თანამონაწილეობა მიიღონ ნიშნისა და სისტემის განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში;

e) ისარგებლონ დამატებითი სარეკლამო შესაძლებლობებით, თუ ასეთი შეთავაზება არსებობს.

სავაჭრო ნიშნის მომხმარებელთა ვალდებულებები

მომხმარებლები ვალდებულნი არიან:

a) დაიცვან ნიშნის მინიჭების ხელშეკრულება და რეგლამენტი;
b) რეგულარულად განაახლონ ინფორმაცია პროდუქტზე/მომსახურებაზე დაცული ლანდშაფტის ვებ გვერდზე - www.mpl.ge, და/ან სავაჭრო ნიშნის მფლობელის მიერ მითითებულ ნებისმიერ ვებ-გვერდზე.
c) მონაწილეობა მიიღონ საკონტროლო ვიზიტის ღონისძიებებში და იზრუნონ ნიშნის რეპუტაციაზე.
d) ყოველწლიურად გადაიხადოს გადასახადი ნიშნის გამოყენების უფლებისათვის 50 ლარიდან - 500 ლარამდე

§7 პარტნიორობა

სუბიექტებს, რომლებსაც სურთ ბრენდის მხარდაჭერა ნიშნის გამოყენების უფლების გარეშე, შეუძლიათ მოითხოვონ პარტნიორის სტატუსი. პარტნიორები თანამშრომლობენ ოპერატორთან სარეკლამო და საგანმანათლებლო საქმიანობებში, პარტნიორობის ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად

§8 საბოლოო დებულებები

იმ საკითხებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ რეგულაციით, გადაწყვეტილებას იღებს ოპერატორი. რეგულაციის განახლება შესაძლებელია ყოველწლიურად; ცვლილებები გამოქვეყნდება ვებსაიტზე www.mpl.ge, bsea.ge, და/ან სავაჭრო ნიშნის მფლობელის მიერ მითითებულ ნებისმიერ ვებ-გვერდზე.ეს რეგლამენტი ძალაში შედის ასოციაცია „შავი ზღვის ეკო აკადემია”-ს (Black Sea Eco Academy) მმართველობის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.